ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4839371

ნომერი: AR1721806

თარიღი : 30.11.2019

გაცემის თარიღი : 29.01.2020

გაცნობის თარიღი : 31.01.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი იუმაშევი , N 51-ის მიმდებარედ (ნაკვ. 003/031);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნაზიბროლა მაღრაძე პ/ნ 01013002603
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 28 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57-ე დადგენილების 32-ე მუხლის 1პუნქტის ი) ქვეპუნქტის თანახმად მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებისა და იმ- შენობა-ნაგებობებისათვის რომლებშიც საშიში საწარმოო პროცესები მიმდინარეობს ან კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სახიფათო ნივთიერების შენახვა -გამოყენების გამო საჭიროებს უსაფრთხოების დაცვის განსაკუთრებულ პირობებს , მშენებლობის ნებართვის პროცესში სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სახით, საჭიროა მონაწილეობა მიიღოს სსიპ- ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ.

მოცემულ შემთხვევაში მართალია თქვენს მიერ განსათავსებელი შენობა თავისი გეომეტრიული პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს 60 კვ.მ-მდე ფართობის შენობას, რომელიც განეკუთვნება შენობა -ნაგებობათა I კლასს და არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას , მაგრამ ვინაიდან ფუნქციურად იგი განკუთვნილია (როგორც თქვენ აღნიშნავთ მოთხოვნის ტექსტში) ფეთქებადსაშიში წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლების (ცილინდრების) სახით იმ ნივთიერების შენახვა- გამოყენებისათვის , როგორიცაა, ჟანგბადი, პროპანი არგონი, აზოტი და CO 2 . ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად იზრდება მთლიანად ობიექტის რისკის ფაქტორი, აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ რიგში საჭიროა მიმართოთ სიპ- ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (მისამართი : ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. #8) და წარმოადგინოთ მათი პოზიცია ამ ობიექტის, როგორც კლასის დაზუსტების , ისე უსაფრთხოების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

- დაზუსტებული ინფორმაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში) ამსახურის მიერ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში .

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.